კონკურსი ვიდეორგოლების მომზადებაზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი/CIPDD აცხადებს კონკურსს შემდეგი თემატიკის ვიდეო რგოლების მომზადებაზე:

1.თანამემამულეთა გლობალური ქსელი;

•თანამემამულეთა გლობალური ქსელი წარმოადგენს ონლაინ პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც საქართველოდან წასულ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ერთმანეთსა და კავშირი დაამყარონ საქართველოსთან. იხ. შემდეგი ბმული: https://tanamemamule.ge/;

2.უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონში ბოლო ცვლილებები;
•ვიზისა და ბინადრობის ახალი საფუძვლები და მიღების პროცედურები;

3.სავიზო ლიბერალიზაცია;
•სამოქმედო გეგმა, ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ახალი სავიზო რეგულაციები შენგენის ქვეყნებში სამოგზაუროდ;
4.პრაქტიკული რჩევები პოტენციური მიგრანტებისთვის;
•მიგრანტების უსაფრთხოება და უსაფრთხოების ზომები რაც ნებისმიერმა ადამიანმა უნდა დაიცვას გამგზავრებამდე.

პირობები:
1.გამარჯვებულმა კომპანიამ/კომპანიებმა უნდა დაამზადოს ვიდეო რგოლი. თითოეული რგოლი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სატელევიზიო სოციალური რგოლისთვის განკუთვნილ სტანდარტებს (ხანგრძლივობა: მაქსიმუმ 30 წამი);
2.ვიდეო რგოლების აუდიო კომპონენტი უნდა ჩაიწეროს ცალკე, რათა შესაძლებელი იყოს იგივე ინფორმაციის გავრცელება რადიო მაუწყებლობების მეშვეობით;
3.ოთხივე ვიდეო და რადიო რგოლი უნდა იყოს მზად 10 დეკემბრისთვის, შესაძლოა ვადის უმნიშვნელოდ გაგრძელება წინასწარი შეთანხმების საფუძველზე;
4.განმცხადებელი იტოვებს უფლებას, შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე კომპანია ვიდეო რგოლების დასამზადებლად;
5.თითო კომპანიას/პირს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი შემოთავაზება თითოეული თემის მიხედვით; თითო კომპანიას/პირს შეუძლია წარმოადგინოს წინადადება ერთი ან რამდენიმე/ყველა თემის მიხედვით;
6.გამცხადებელი იტოვებს უფლებას შეცვალოს/დააკონკრეტოს თემატიკა და მონაწილეობა მიიღოს წარმოდგენილი სცენარების დაზუსტება/შეცვლაში.

გადაწყვეტილება იქნება მიღებული ფასის, ხარისხისა და შესრულების დროის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა/კომპანიებმა 2014 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

A.ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების და მაღალი ხარისხის ვიდეო რგოლის მომზადებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის შესახებ;

B.შესრულებული სამუშაოს ბმულები;
C.ამ განცხადებაში მითითებული თემების მიხედვით სატელევიზიო სოციალური რგოლის შესაქმნელად საჭირო ბიუჯეტი დღგ-ს გარეშე;
D.ამ განცხადებებში მითითებული თემების მიხედვით, სოციალური რგოლის სავარაუდო სცენარი (თითო თემაზე თითო სცენარი);
E.ინფორმაცია ვიდეო რგოლის დამზადებისათვის საჭირო ვადების შესახებ.

განაცხადი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე: macharashvili@gyla.ge და migration@cipdd.org

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, სამუშაო საათებში (10:00-18:00 ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) დაგვიკავშირდით ნომერზე: 577 07 05 94.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

კონკურსი ცხადდება პროექტის ფარგლებში: "საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა". პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.